საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზედანია გიგა ომარის ძე

გ. ზედანია

ზედანია გიგა ომარის ძე (1.IV.1977, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (2005), ილიას სახელმწ. უნ-ტის რექტორი (2014-იდან). სწავლობდა თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1994–2000) ბარდის კოლეჯში (აშშ, 1996–97), ცენტრ. ევრ. უნ-ტში (უნგრეთი, 1999–2000); ბოხუმის რურის უნ-ტში (გერმანია, 2005) დაიცვა სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომი. სხვადასხვა დროს საქმიანობდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში" (2005–08), ილიას სახელმწ. უნ-ტში. 2002-იდან იყო ილიას სახელმწიფო უნ-ტის ლექტორი, ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, პროფესორი. არის ავტორი მონოგრაფიისა და თარგმანებისა.

თხზ.: Von Einheit zu Pluralität. Nikolaus von Kues als Interpret der Schriften des Dionysius PseudoArēopagita, Lpz., 2008.